

სს “გალტ ენდ თაგარტი”

**ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

2018 წლის 31 დეკემბერი

სს “გალტ ენდ თაგარტი”

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
განმარტებითი შენიშვნები	8
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები	
ძირითადი საქმიანობა	8
მომზადების საფუძველი	8
მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
ახალი და შესწორებული სტანდარტების მიღება და საბუღალტრო პოლიტიკის ინტერპრეტაცია და ნებაყოფლობითი ცვლილებები	19
რეკლასიფიკაციის შენიშვნა	23
ძირითადი საშუალებები	23
საინვესტიციო ქონება	23
არამატერიალური აქტივები	24
ინვესტიციები არაკონსოლიდირებულ შვილობილ კომპანიებში	24
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	25
ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში	25
ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში	26
გაცემული სესხები	26
წინასწარ გადახდილი თანხები	27
დებიტორული დავალიანება	27
ფული და ფულის ექვივალენტები	27
კლიენტების ფული და ფულის ექვივალენტები	28
სააქციო კაპიტალი	28
გადავადებული შემოსავალი	28
მიღებული სესხები	29
კრედიტორული დავალიანება	29
საკომისიო შემოსავლები და ხარჯები	29
შემოსავალი საინვესტიციო საბანკო მომსახურებიდან და კვლევებიდან	30
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	30
წმინდა მოგება ფინანსური აქტივებიდან სამართლიანი ღირებულებით მოგებასა ან ზარალში	30
საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები	30
წმინდა სარგებელი კურსთაშორის სხვაობიდან	31
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	31
პირობითი ვალდებულებები	32
ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ	32
საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	36

სს „გალტ ენდ თაგარტი“
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერი
(ქართული ლარი)

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება „გალტ ენდ თაგარტი“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 29 მარტს, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია:

გენერალური დირექტორი ირაკლი კირტავა _____

მმართველი დირექტორი ოთარ შარიქაძე _____

მთავარი ბუღალტერი ქეთევან ვანიშვილი _____

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება გალტ ენდ თაგარტის აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს:

მოსაზრება

ჩვენ ჩატარეთ სააქციო საზოგადოება გალტ ენდ თაგარტის (შემდგომში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“), რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში.

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 22 მარტს გასცა არამოდიფიცირებული დასკვნა.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მენეჯმენტი. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას რომელიც შეტანილია წლიურ ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენ მოველით რომ წლიური ანგარიშგება იქნება ხელმისაწვდომი ამ აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წამოვადგენთ მასზე.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან ერთად ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ნექსია თიეს“ სახელით
გელა მღებრიშვილი

მარტი 29, 2019
თბილისი, საქართველო

სს “გალტ ენდ თაგარტი”
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერი
(ქართული ლარი)

<i>აქტივები</i>	<i>შენიშვნა</i>	<i>31 დეკემბერი, 2018</i>	<i>31 დეკემბერი, 2017 რეკლასიფიცირებული</i>
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	289,313	308,507
საინვესტიციო ქონება	7	1,362,000	1,362,000
არამატერიალური აქტივები	8	429,954	147,638
ინვესტიციები არაკონსოლიდირებულ შვილობილ კომპანიებში	9	1,022,000	2,623,611
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	10	928,592	928,592
ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში	11	535,320	-
ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში	12	-	126,475
გაცემული სესხები	13	-	6,655,552
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,567,179	12,152,375
მიმდინარე აქტივები			
ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში	12	4,476,798	5,835,213
გაცემული სესხები	13	8,472,468	225,000
წინასწარ გადახდები თანხები	14	740,128	513,157
დებიტორული დავალიანება	15	574,396	1,880,220
ფული და ფულის ექვივალენტები	16	529,987	3,993,616
კლიენტების ფული და ფულის ექვივალენტები	17	14,884,880	24,946,862
სულ მიმდინარე აქტივები		29,678,657	37,394,068
სულ აქტივები		34,245,836	49,546,443
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	18	10,764,236	10,764,236
საემისიო კაპიტალი		24,959,537	24,959,537
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(18,645,171)	(19,549,284)
სულ კაპიტალი		17,078,602	16,174,489
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი	19	-	282,965
გრძელვადიანი სესხები	20	-	674,618
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	957,583
მიმდინარე ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	21	1,321,608	3,281,539
ფულადი ვალდებულებები კლიენტების მიმართ	17	14,884,880	24,946,862
გადავადებული შემოსავალი	19	282,965	1,827,559
მოკლევადიანი სესხები	20	674,618	2,358,411
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		3,163	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		17,167,234	32,414,371
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		34,245,836	49,546,443

გენერალური დირექტორი
ირაკლი კირტავა

მმართველი დირექტორი
ოთარ შარიქაძე

მთავარი ბუღალტერი
ქეთევან ვანიშვილი

სს “გალტ ენდ თაგარტი”
ინდივიდუალური მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერი
(ქართული ლარი)

	შენიშვნა	2018	2017
საკომისიო შემოსავალი	22	2,734,060	1,812,662
საკომისიო ხარჯი	22	(2,826,990)	(2,582,518)
წმინდა საკომისიო ხარჯი		(92,930)	(769,856)
შემოსავალი საინვესტიციო საბანკო მომსახურებიდან და კვლევებიდან	23	3,678,500	3,699,636
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	24	(3,955,573)	(3,841,749)
წმინდა მოგება ფინანსური აქტივებიდან სამართლიანი ღირებულებით მოგებასა ან ზარალში სხვა ხარჯები	25	44,473	159,272
		(39,228)	(34,089)
ხარჯები საოპერაციო საქმიანობიდან		(364,758)	(786,786)
<i>საფინანსო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი</i>			
საპროცენტო შემოსავალი	26	2,502,788	1,890,071
საპროცენტო ხარჯი	26	(57,362)	(274,249)
წმინდა სარგებელი კურსთაშორის სხვაობიდან	27	356,265	(221,420)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული სარგებელი		2,801,691	1,394,402
საინვესტიციო ქონების გადაფასების შედეგად მიღებული სარგებელი		-	412,469
ზარალი სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში აღრიცხული აქტივების გადაფასებიდან		(460,348)	-
მოგება დაბეგრამდე		1,976,585	1,020,085
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება		1,976,585	1,020,085
<i>სხვა სრული შემოსავალი</i>			
გაუფასურების ზარალი არაკონსოლიდირებულ შვილობილ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციებზე		(1,601,611)	-
<i>სხვა სრული შემოსავლები / (ზარალი) წლის განმავლობაში</i>		(1,601,611)	-
სულ სრული შემოსავლები წლის განმავლობაში		374,974	1,020,085
საბაზისო და განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე		0.03	0.09

გენერალური დირექტორი
ირაკლი კირტავა

მმართველი დირექტორი
ოთარ შარიქაძე

მთავარი ბუღალტერი
ქეთევან ვანიშვილი

სს “გალტ ენდ თაგარტი”
ინდივიდუალური კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერი
(ქართული ლარი)

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2016	10,764,236	24,959,537	(20,569,369)	15,154,404
წლის მოგება (ზარალი)	-	-	1,020,085	1,020,085
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
სულ სრული შემოსავალი	-	-	1,020,085	1,020,085
გაცემული დივიდენდები	-	-	-	-
31 დეკემბერი 2017	10,764,236	24,959,537	(19,549,284)	16,174,489
1 იანვარი 2018	10,764,236	24,959,537	(19,549,284)	16,174,489
ფასს 9-ზე გადასვლის ეფექტი	-	-	554,139	554,139
1 იანვარი 2018 (გადაანგარიშებული)	10,764,236	24,959,537	(18,995,145)	16,728,628
წლის მოგება (ზარალი)	-	-	1,976,585	1,976,585
წლის სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)	-	-	(1,601,611)	(1,601,611)
სულ სრული შემოსავალი	-	-	374,974	374,974
გაცემული დივიდენდები	-	-	(25,000)	(25,000)
31 დეკემბერი 2018	10,764,236	24,959,537	(18,645,171)	17,078,602

გენერალური დირექტორი
ირაკლი კირტავა

მმართველი დირექტორი
ოთარ შარიქაძე

მთავარი ბუღალტერი
ქეთევან ვანიშვილი

სს “გალტ ენდ თაგარტი”
ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერი
(ქართული ლარი)

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება დაბეგვრამდე:	1,976,585	1,020,085
ცვეთა და ამორტიზაცია	105,370	151,227
საინვესტიციო ქონების გადაფასება	-	(412,469)
ზარალი სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში აღრიცხული აქტივების გადაფასებიდან	460,348	-
სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდების გამოუმუშავებელი მოგება	-	221,420
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	(356,265)	(9,615)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	3,743	818
საპროცენტო შემოსავალი	(2,502,788)	(1,890,072)
საპროცენტო ხარჯი	68,183	274,249
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები	(244,824)	(644,357)
სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდების შემცირება/(ზრდა)	2,036,961	1,959,587
წინასწარ გადახდილი თანხების (ზრდა)/შემცირება	(226,970)	(203,404)
დებიტორული დავალიანების შემცირება/(ზრდა)	491,514	(1,305,824)
კრედიტორული დავალიანების (შემცირება)/ზრდა	(12,706,958)	14,635,072
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები	(10,650,277)	14,441,074
გადახდილი პროცენტი	(69,934)	(184,472)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(155,514)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(10,720,211)	14,101,088
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ვადის გასვლამდე ფლობადი ფასიანი ქაღალდები	(489,760)	(35,113)
გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების გაყიდვა	126,475	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	14,769
ძირითადი საშუალებების შეძენა	(84,553)	(140,095)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(287,683)	(20,198)
გაცემული სესხები	226,256	(225,000)
მიღებული პროცენტი	387,173	451,951
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(122,092)	46,314
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საბანკო სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	1,564,571
საბანკო სესხების დაფარვა	(2,348,819)	(1,659,631)
გაცემული დივიდენდები	(25,000)	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(2,373,819)	(95,060)
ფულის და ფულის ექვივალენტების შემცირება	(13,216,122)	14,052,342
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	28,940,478	15,243,905
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	(309,489)	(355,769)
ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	15,414,867	28,940,478

გენერალური დირექტორი
ირაკლი კირტავა

მმართველი დირექტორი
ოთარ შარიქაძე

მთავარი ბუღალტერი
ქეთევან ვანიშვილი

1. ძირითადი საქმიანობა

სს „გალტ ენდ თაგარტი“ (შემდგომში - „კომპანია“) დაფუძნდა 1995 წლის 19 დეკემბერს, სააქციო საზოგადოების სახით („სს“), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია მუშაობს საქართველოში ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ 2014 წლის 10 სექტემბერს გაცემული საბროკერო საქმიანობის ლიცენზიით¹ შესაბამისად. 2000-2009 წლებში კომპანია საქმიანობას ეწეოდა სახელწოდებით „გალტ ენდ თაგარტ სექიურითის“, ხოლო 2009-2014 წლებში - „ბიჯი კაპიტალი“. 2014 წლის 26 აგვისტოდან კომპანიის სახელია - სააქციო საზოგადოება „გალტ ენდ თაგარტი“.

კომპანია ახორციელებს საბროკერო, საინვესტიციო-საბანკო, საკონსულტაციო და აქტივების მართვის მომსახურებებს. ასევე, ახორციელებს ფინანსური აგენტის მომსახურებას, სასესხო ფასიანი ქაღალდებისა და ჩვეულებრივი აქციების კერძო და საჯარო განთავსებებს, საკონსულტაციო მომსახურებას კორპორაციული რესტრუქტურირების პროცესში, შერწყმისა და გაყოფის ტრანზაქციებში. 2000 წლიდან კომპანიის საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მაკროეკონომიკური სექტორებისა და კორპორაციული ანალიტიკური კვლევები. კომპანია უზრუნველყოფს გარიგებების დადებას წამყვან საერთაშორისო და რეგიონალურ ბაზრებზე. 2013 წლიდან კომპანია ფლობს ფილიალს აზერბაიჯანში, რომლის საქმიანობა შეჩერებულია 2015 წლის 28 ოქტომბრიდან. კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0102, დავით აღმაშენებლის გამზირი №79.

2005 წლიდან კომპანია წარმოადგენდა სს „საქართველოს ბანკის“ სრულად ფლობილ შვილობილ კომპანიას, ხოლო 2015 წლის ნოემბრიდან სს „გალტ ენდ თაგარტი“ წარმოადგენს სს „ბიჯი ფაინანშალის“ სრულად ფლობილ შვილობილ კომპანიას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2018 წლის 29 მაისამდე სს „ბიჯი ფაინანშალის“ 100%-იანი წილის მფლობელი იყო სს „ბიჯეო ჯგუფი“, რომელიც გაიყო ორ დამოუკიდებელ კომპანიად: სს „საქართველოს ბანკის ჯგუფი“ და სს „საქართველოს კაპიტალი“. გაყოფის შემდეგ სს „ბიჯი ფაინანშალის“ 19,90%-იანი წილის მფლობელია ბენკ ოფ ჯორჯია გრუპ პლს, ხოლო 80,10%-იანი წილის მფლობელია სს ბიჯეოჯგუფი.

2. მომზადების საფუძველი

შესავალი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომელიც გაცემულია 2018 წლისთვის მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ.

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, გარდა სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, წარმოებული ფინანსური აქტივებისა, ვალდებულებებისა და საინვესტიციო ქონებისა.

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში.

¹ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2014 წლის 10 სექტემბრის განკარგულება №820

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭომ შეაფასა კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც მოქმედმა საწარმომ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში. უფრო მეტიც ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ეჭვი დაბადოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით. ამიტომ, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

შვილობილი კომპანიები და მეკავშირე საწარმოები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ინვესტიციებს შემდეგ შვილობილ კომპანიაში და მეკავშირე კომპანიებში:

ხმის უფლებისა და ფლობილი ჩვეულებრივი კაპიტალის				
შვილობილი კომპანია	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	დაფუძნების ქვეყანა	რეგისტრაციის თარიღი
Galt and Taggart Holding Limited	100%	100%	ნიქოზია, კვიპროსის რესპუბლიკა	3 ივლისი 2006
ხმის უფლებისა და ფლობილი ჩვეულებრივი კაპიტალის				
მეკავშირე კომპანიები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	დაფუძნების ქვეყანა	რეგისტრაციის თარიღი
საქართველოს საფონდო ბირჟა	15,33%	15,33%	თბილისი, საქართველო	12 იანვარი 1999
თბილისის საფონდო ბირჟა	21,59%	21,59%	თბილისი, საქართველო	7 მაისი 2015

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას, რადგან კომპანია აკმაყოფილებს ფასს 10-ის „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების“ შესაბამისად ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა პირობას:

- კომპანია თვითონ წარმოადგენს სხვა კომპანიის სრულ საკუთრებაში მყოფ შვილობილ კომპანიას;
- კომპანიის სავალო ან წილობრივი ინსტრუმენტები არ იყიდება ფასიანი ქაღალდების საჯარო ბაზარზე;
- კომპანია თავის ფინანსურ ანგარიშგებას ფასიანი ქაღალდების კომისიაში ან სხვა მარეგულირებელ ორგანოში არც ადრე წარადგენდა და არც ახლა იმყოფება წარდგენის პროცესში, ფასიანი ქაღალდების საჯარო ბაზარზე რაიმე სახის ფინანსური ინსტრუმენტების გამოშვების მიზნებისათვის; და
- კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია ადგენს ფასს სტანდარტების შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელშიც შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულია.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმოები წარმოადგენენ საწარმოებს, სადაც კომპანიას, როგორც წესი, გააჩნია ხმის უფლების 20%-დან 50%-მდე ან სხვაგვარად არის უფლებამოსილი იქონიოს მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიაზე, მაგრამ რომელსაც იგი არ აკონტროლებს ერთპიროვნულად ან ერთობლივად. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში აღირიცხება კაპიტალის მეთოდით და აღიარებულია თავდაპირველი ღირებულებით გუდვილის ჩათვლით. ვინაიდან კომპანია არ ახორციელებს მეკავშირე საწარმოების კონსოლიდირებას ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაბამისად ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში არ აღირიცხება კაპიტალის მეთოდით.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

თითოეული ბალანსის შედგენის დღეს კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ ინტრუმენტებს, როგორცაა სავაჭრო და გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები, დერივატივები და არაფინანსური აქტივები, როგორცაა საინვესტიციო ქონება.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებისთვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება ითვალისწინებს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი აქტივის საუკეთესოდ და ეფექტურად გამოყენებით ან მისი ბაზრის სხვა მონაწილეებისთვის მიყიდვით, რომელიც გამოიყენებს ამ აქტივს ყველაზე ეფექტურად და საუკეთესოდ.

აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით განისაზღვრება.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, აღნიშნული კატეგორიებია:

დონე 1 – კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის;

დონე 2 – მეთოდები, რომლითაც შესაძლებელია ყველა იმ ინფორმაციაზე დაკვირვება, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეგისტრირებულ სამართლიან ღირებულებაზე;

დონე 3 – შეფასების მეთოდი, რომლის ყველაზე ქვედა დონის მონაცემები, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, არ არის წარმოდგენილი.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღობვა, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღრიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღრიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღრიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღრიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა)

სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით. მოგება, ან ზარალი აღიარდება, როგორც მოგება-ზარალში, ვალდებულების აღიარების შეწყვეტის მომენტისთვის, ასევე

სესხები (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზირებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვის პროცესში მიღებულ ნებისმიერ პრემიუმის ან ფასდაკლების გათვალისწინებით და ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება, როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად მიესადაგება პროცენტის მატარებელ სესხებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

მოგების გადასახადი (გაგრძელება)

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის მიწა ან შენობა, ან საიჯარო შემოსავლის მისაღებად არსებული შენობის ნაწილი ან კაპიტალის შეფასებასთან დაკავშირებული ქონება, რომელიც არ გამოიყენება კომპანიის მიერ ან საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გასაყიდად არსებულ მფლობელობაშია. ქონება, რომელიც აშენებულია ან აშენდება მომავალში საინვესტიციო ქონების სახით გამოსაყენებლად ასევე კლასიფიცირებულია, როგორც საინვესტიციო ქონება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით, შემდეგში ხელახლა ფასდება სამართლიანი ღირებულებით და ასახავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს საბაზრო პირობებს. კომპანიის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სხვადასხვა წყაროების საფუძველზე, მათ შორის იმ დამოუკიდებელ შემფასებელთა ანგარიშების საფუძველზე, რომლებსაც აქვთ შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და რომლებსაც აქვთ მსგავსი მდებარეობისა და კატეგორიის ქონების შეფასების გამოცდილება.

საინვესტიციო ქონება, რომელიც გადაკეთდა მუდმივი გამოყენებისთვის როგორც საინვესტიციო ქონება ან რომლისთვისაც ბაზარი ნაკლებად აქტიური რჩება საიმისოდ რომ შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით. მიღებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხულია მოგება-ზარალის ანგარიშში სხვა საოპერაციო შემოსავლის ფარგლებში. საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებაში ცვლილებებიდან მიღებული მოგება და ზარალი ასახულია მოგება-ზარალის შემოსავალში და წარმოდგენილია როგორც საინვესტიციო ქონებიდან გადაფასების სუფთა მოგება ან ზარალი.

შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება მხოლოდ მაშინ, როცა აშკარაა, რომ მასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი გადაეინება კომპანიაში და ხარჯი შეფასდება საიმედოდ. ყველა სხვა რემონტისა და ტექნომსახურების ხარჯი იფარება მათი წარმოქმნისთანავე. თუ საინვესტიო საკუთრება არ ქირავდება, ის რეკლასიფიცირდება ძირითად საშუალებებში და მისი საბალანსო ღირებულება რეკლასიფიკაციის თარიღისთვის იქცევა მის პირობით ღირებულებად, რომელიც შემდგომში შემცირდება.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღირიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს. ხოლო აქტივების ცვეთა ირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

ძირითადი საშუალებები	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ავეჯი და მოძრავი ქონება	5
კომპიუტერები და მოწყობილობა	5

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება იჯარის ვადით. აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს. მშენებარე აქტივები მითითებულია თვითღირებულებით და არ გაუფასურდება იმ დრომდე, სანამ ხელმისაწვდომია გამოყენებისთვის და რეკლასიფიცირებულია ძირითადი საშუალების შესაბამის ჯგუფში. საიჯარო გაუმჯობესებების ამორტიზაცია ხდება შესაბამისი საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად ან მოსალოდნელი საიჯარო ვადის მიხედვით, თუ უფრო მოკლევადიანია. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება მათი წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს. ცალკეული არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თავდაპირველი აღიარებისას თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურების ხარჯი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული თუ განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის 5-10 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

პროგრამული უზრუნველყოფის შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება ხარჯებში წარმოშობისას. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის ღირებულება (დაკავშირებული ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული უზრუნველყოფის დიზაინსა და ტესტირებასთან) აღიარებულია, როგორც არამატერიალური აქტივები მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია ამ პროცესის ბოლომდე მიყვანის უნარი და განზრახვა, რომ შესაძლებელი იყოს აქტივის გამოყენება თუ გაყიდვა, რომ აქტივს შეეძლოს სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოტანა, რომ ხელმისაწვდომია ამ პროცესის დასრულებისთვის საჭირო რესურსები, და რომ შესაძლებელია პროგრამის შექმნის ხარჯების სარწმუნოდ შეფასება. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნასთან დაკავშირებული სხვა სახის დანახარჯების აღირიცხვა ხდება ხარჯებში მათი წარმოშობისთანავე.

აქციებით წარმოებულ გადახდებზე დაფუძნებული გარიგებები

კომპანიის თანამშრომლები (ზედა რგოლის ხელმძღვანელების ჩათვლით) იღებენ ანაზღაურებას აქციებზე დაფუძნებული გარიგებიდან, როდესაც თანამშრომლები ეწევიან მომსახურებას წილობრივი ინსტრუმენტების სანაცვლოდ (წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის გარიგებები).

წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის გარიგებები

თანამშრომლებთან წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის გარიგებების ფასი აღირიცხულია სამართლიანი ღირებულებით იმ თარიღით, როდესაც მოხდა მათი მიღება.

წილობრივი ინსტრუმენტებით წარმოებული გარიგებების ფასი აღირიცხულია შესაბამისი კაპიტალის ზრდასთან ერთად, იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა/ვალდებულებების შესრულება. ეს პერიოდი სრულდება მაშინ, როდესაც შესაბამისი თანამშრომელი მთლიანად უფლებამოსილია მიიღოს პრემია ("ძალაში შესვლის თარიღი"). ძალაში

წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის გარიგებები (გაგრძელება)

შესვლის თარიღისათვის, ყოველ საბალანსო წელს აღიარებული წილობრივი ინსტრუმენტებით წარმოებული გარიგებების მთლიანი ხარჯი დამოკიდებულია ძალაში ყოფნის მთლიანი პერიოდის გასვლასა და წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის შეფასებაზე. მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ასახული ხარჯი თუ შემოსავალი წარმოადგენს მთლიანი ხარჯის ცვლილებას პერიოდის დასაწყისიდან ბოლომდე.

ძალაში შესვლამდე არ ხდება პრემიის ხარჯის აღიარება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უფლებამოსილების მინიჭება დამოკიდებულია საბაზრო პირობებზე, გათვალისწინებით იმისა, რომ ყველა დანარჩენი პირობა შესრულებულია. ეს შემთხვევა მიიჩნევა უფლებამოსილების მინიჭებად, მიუხედავად იმისა, დაკმაყოფილებულია თუ არა საბაზრო პირობები.

როდესაც წილობრივი ინსტრუმენტებით წარმოებულ ანგარიშსწორებაზე დაფუძნებული პრემიების პირობები იცვლება, მინიმალური ხარჯის აღიარება ხდება იმ სახით, თითქოს არ მომხდარიყოს პირობების ცვლილება. გარდა ამისა, ხარჯის აღიარება ხდება ნებისმიერი კორექტირებისათვის, რომელიც ზრდის აქციებით წარმოებულ გადახდებზე დაფუძნებული გარიგებების მთლიან სამართლიან ღირებულებას ან სხვაგვარად წარმოადგენს თანამშრომლის სარგებელს მოდიფიკაციის თარიღით.

როდესაც ხდება წილობრივი ინსტრუმენტებით გაცემული პრემიის გაუქმება, ის ძალაში შესულად მიიჩნევა გაუქმების თარიღით, ხოლო ნებისმიერი პრემიის ხარჯის იმ ნაწილის აღიარება, რომლის აღიარებაც ჯერ არ მომხდარა ხდება მყისიერად. თუმცა, თუ გაუქმებულ პრემიას ჩაენაცვლება ახალი, რომელიც გადაცემის თარიღისათვის აღწერილია, როგორც ჩანაცვლების პრემია, ძველი და ახალი პრემიები მოიაზრება თავდაპირველი პრემიის კორექტირებად, როგორც აღწერილია წინა აბზაცში.

კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც საემისიო კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გაცხადებულია ანგარიშგების თარიღამდე ან თარიღით. დივიდენდები გაცხადებულია, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გაცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

პირობითი ვალდებულებები და აქტივები

პირობითი ვალდებულებების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში არ ხდება, თუ არ არსებობს ვალდებულებების დასაფარი რესურსების გადინების საფუძველი, რომელიც შეიძლება სარწმუნოდ შეფასდეს. პირობითი აქტივების აღიარება არ ხდება ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, თუმცა ხდება მათი გაცხადება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემდეგი კონკრეტული კრიტერიუმები უნდა დაკმაყოფილდეს ვიდრე მოხდება შემოსავლის აღიარება:

შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან

მესამე მხარეთა ოპერაციებთან (როგორებიცაა აქციების თუ სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენა ან გაყიდვა) დაკავშირებული მოლაპარაკებებიდან ან მოლაპარაკებებში მონაწილეობიდან მიღებული თანხები აღრიცხულია გარიგების დასრულებისას. გარიგებებთან დაკავშირებული გასამრჯელო ან გასამრჯელოს კომპონენტები, აღიარებულია შესაბამისი პირობების შესრულების შემდგომ. გასამრჯელო ან მისი კომპონენტები, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ შესრულებასთან, აღიარებულია შესაბამისი კრიტერიუმების შესრულების შემდეგ.

პროცენტი და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისათვის და სავაჭროდ გამიზნული ან გასაყიდად არსებული საპროცენტო სარგებლის მქონე ფასიანი ქაღალდებისათვის, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომლითაც ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი დაფარვებისა და შემოსავლისა ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის თუ უფრო მოკლე პერიოდის მანძილზე, სადაც ეს შესაძლებელია, ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ზუსტი დისკონტირება. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას ან ზღვრულ ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ კომპანია გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ახალ საბალანსო ღირებულებაზე.

შემოსავალი დივიდენდებიდან

შემოსავლის აღიარება ხდება კომპანიის მიერ თანხის მიღების უფლების წარმოშობისას.

სამუშაო და საანგარიშგებო ვალუტების და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხები იზომება აღნიშნულ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება სებ-ის გაცვლითი კურსით ანგარიშგების დღეს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი – საკურსო

სამუშაო და საანგარიშგებო ვალუტების და უცხოური ვალუტის კონვერტაცია (გაგრძელება)

სხვაობა. არაფულადი საშუალებების კონვერტაცია, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულების დადგენის მიზნით, ხდება გაცვლითი კურსით, რომელიც არსებობს თავდაპირველი ოპერაციის დღეს. არაფულადი საშუალებები, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. როცა არამონეტარული პუნქტის მოგება ან ზარალი აღიარებულია სხვა სრულ მოგებაში, აღნიშნული მოგების ან ზარალის ნებისმიერი შეცვლილი კომპონენტი აღიარებულია სხვა სრულ მოგებაში. და პირიქით, როცა არამონეტარული პუნქტის მოგება ან ზარალი აღიარებულია მოგებასა ან ზარალში, აღნიშნული მოგების ან ზარალის ნებისმიერი შეცვლილი კომპონენტი აღიარებულია მოგებასა ან ზარალში. სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის საკონტრაქტო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს, ჩართულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მოგებას გამოკლებული ზარალის მუხლში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
1 USD/GEL	2.6766	2.5922
1 EUR/GEL	3.0701	3.1044
1 CHF/GEL	2.7268	2.6584
1 CAD/GEL	1.9674	2.0683
1 GBP/GEL	3.3955	3.5005

საშუალო საკურსო განაკვეთები აღნიშნულ წლებში არის შემდეგი:

	2018	2017
საშუალო USD/GEL	2.535	2.509
საშუალო EUR/GEL	2.991	2.832
საშუალო CHF/GEL	2.591	2.547
საშუალო CAD/GEL	1.956	1.934
საშუალო GBP/GEL	3.381	3.232

4. ახალი და შესწორებული სტანდარტების მიღება და საბუღალტრო პოლიტიკის ინტერპრეტაცია და ნებაყოფლობითი ცვლილებები

ფინანსური აღრიცხვის ახალი საერთაშორისო სტანდარტების მიღება.

კომპანიამ მიიღო ფასს 15 და ფასს 9. აღნიშნული ახალი სტანდარტების დანერგვით გამოწვეული ცვლილების შინაარსი და ეფექტი აღწერილია ქვემოთ.

ფასს 15 კლიენტებთან კონტრაქტებიდან შემოსავალი

2014 წლის მაისში ფასს-მ გამოუშვა ფასს 15 კლიენტებთან კონტრაქტებიდან შემოსავალი, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან, ნებადართული იყო დროზე ადრე მიღება. ფასს 15 განსაზღვრავს შემოსავლის აღიარების პრინციპებს და გამოიყენება კლიენტებთან ყველა კონტრაქტის მიმართ. თუმცა, ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი პროცენტი და საკომისიო შემოსავლები და იჯარები კვლავაც სცილდება ფასს 15-ის ფარგლებს და რეგულირდება სხვა მოქმედი სტანდარტებით. ფასს 15-ის შესაბამისად, შემოსავალი აღიარებულია იმ მოცულობით, რომელიც ასახავს თანხას, რომელსაც საწარმო მოსალოდნელია, რომ მიიღებს საქონლის ან მომსახურებების კლიენტისთვის გადაცემის სანაცვლოდ. ეს სტანდარტი ასევე განსაზღვრავს ხასიათთან, მოცულობასა და დროსთან ასევე ნებისმიერ შემოსავლი გაურკვევლობასთან და კლიენტების შესაბამისი ფულად ნაკადებთან დაკავშირებულ ინფორმაციის წარმოდენის მოთხოვნებს.

სტანდარტზე გადასვლას არ ქონია არსებითი ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

შესავალი

2014 წლის ივლისში, ფასს-მა გამოსცა ფასს 9-ის ფინანსური ინსტრუმენტები – საბოლოო ვარიანტი, რომელმაც შეცვალა ბას 39-ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება და 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ წლიური პერიოდისთვის არსებული ყველა წინა ვერსია, ვადაზე ადრე გამოყენება დასაშვებია. კომპანიამ მიიღო ახალი სტანდარტი მისი ძალაში შესვლის თარიღიდან.

კლასიფიკაცია და შეფასება

კლასიფიკაციისა და შეფასების პერსპექტივიდან გამომდინარე ახალი სტანდარტი მოითხოვს, რომ ყველა ფინანსური აქტივი, გარდა წილობრივი ინსტრუმენტებისა და წარმოებულებისა, შეფასდეს საწარმოს ბიზნეს მოდელის კომბინაციის საფუძველზე საიმისოდ, რომ განხორციელდეს აქტივების და ინსტრუმენტების საკონტრაქტო ფულადი სახსრების ნაკადის მახასიათებლების მართვა. ბასს 39 შეფასების კატეგორიები ჩაენაცვლება სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის (FVPL) ფარგლებში, სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავლის ფარგლებში (FVOCI) და ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9 ასევე საშუალებას აძლევს საწარმოებს საბოლოოდ განსაზღვრონ ინსტრუმენტები, რომლებიც აფასებენ ამორტიზებულ ღირებულებას ან სამართლიან ღირებულებას სხვა სრული შემოსავლის ინსტრუმენტების ფარგლებში როგორც FVPL, თუ ამის გაკეთება აღმოჩნდება ან მნიშვნელოვნად შეამცირებს შეფასების ან აღიარების შეუსაბამობას. წილობრივი მონაწილეობის ინსტრუმენტები, რომლებიც არ არის გამიზნული ვაჭრობისთვის, შეიძლება საბოლოოდ განისაზღვროს როგორც FVOCI, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მოგების ან ზარალის შემდგომი რეკლასიფიკაციის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის წესი ძირითადად იქნება ისეთივე. როგორც იყო ბასს 39-ის მოთხოვნებში, გარდა იმ მოგების ან ზარალისა, რომელიც წარმოიქმნა FVPL-ს შესაბამისად განსაზღვრულ ვალდებულებებთან დაკავშირებით. ასეთი ცვლილებები წარმოდგენილი იქნება სხვა სრულ შემოსავალში მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემდგომი რეკლასიფიკაციის გარეშე მანამ, სანამ სააღრიცხვო შეუსაბამობა არ წარმოიქმნება მოგებას ან ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ზე გადასვლის ეფექტი მოგება ან ზარალის უწყისზე გამოწვეულია გაცემული სესხის აღიარებით სამართლიანი ღირებულებით მოგებას ან ზარალში, რომელიც აღირიცხებოდა ამორტიზირებული ღირებულებით. ასევე ფასს 9-ზე გადასვლით შეიცვალა კომპანიის აქტივების კლასიფიკაცია გასაყიდად ფლობილი ფინანსური აქტივებიდან და ვადის გასვლამდე ფლობილი ფასიანი ქარალდებიდან გრძელვადიან ფინანსურ აქტივებში სამართლიანი ღირებულებით მოგებას ან ზარალში.

ფასს 9-ის მიღების შედეგად კომპანიას აქვს შემდეგი კლასიფიკაციები ფინანსური აქტივებისთვის 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

კლასიფიკაცია ბასს 39-ის მიხედვით	კლასიფიკაცია ფასს 9-ის მიხედვით
დებიტორული დავალიანება გაცემული სესხები	დებიტორული დავალიანება გაცემული სესხები
სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები	ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებას ან ზარალში
ვადის გასვლამდე ფლობადი ფასიანი ქაღალდები	ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში
გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები	ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებას ან ზარალში

ფასს 2 –ის ცვლილება - წილობრივი გადახდის ოპერაციების კლასიფიკაცია და შეფასება

ფასსს-მა გამოსცა ფასს 2-ის– წილობრივი გადახდა – ცვლილება, რომელიც ეხება სამ მთავარ სფეროს: ფულადი ანგარიშსწორების პირობით ოპერაციის შეფასებაზე ზემოქმედება; წილობრივი გადახდის ოპერაციის კლასიფიკაცია სუფთა ანგარიშსწორების მახასიათებლები საგადასახადო ვალდებულებების დაკავებისთვის; და აღრიცხვა რამდენად ცვლის წილობრივი გადახდის ოპერაციის პირობების მოდიფიკაცია ფულადი ანგარიშსწორების პირობით ოპერაციის კლასიფიკაციას. მიღების შემდეგ, ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ ცვლილებები წინა პერიოდების ხელახლაფორმულირების გარეშე, მაგრამ რეტროსპექტული გამოყენება ნებადართულია, თუ შერჩეული იქნება ყველა სამივე ცვლილება და სხვა კრიტერიუმები შესრულდება. ეს ცვლილებები ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდისთვის, ნებადართულია ვადაზე ადრე მიღება.

საინვესტიციო ქონების გადაცემა (ბას 40-ის შესწორებები)

ეს ცვლილებები აზუსტებს როდის უნდა განახორციელოს ორგანიზაციამ ქონების, მათ შორის მშენებლობის ან განვითარების პროცესში ამ საინვესტიციო ქონების ფარგლებს გარეთ არსებული ქონების გადაცემა. ეს ცვლილებები ასევე ადასტურებს, რომ გამოყენების ცვლილება მოხდება, როცა ქონება აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განსაზღვრას და არსებობს გამოყენებაში ცვლილების მტკიცებულება. ხელმძღვანელობის განზრახვაში ქონების გამოყენებასთან დაკავშირებით მარტივი ცვლილება წარმოადგენს გამოყენებაში ცვლილების მტკიცებულებას. ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ პერსპექტივის თვალსაზრისით გამოყენებაში ცვლილებები, რომელიც წარმოიქმნება საანგარიშგებო პერიოდის დაწყებისა დღეს ან შემდეგ, რომლის განმავლობაშიც საწარმო პირველად გამოიყენებს ცვლილებებს. ნებისმიერმა საწარმომ უნდა გადააფასოს ამ თარიღისთვის ფლობილი ქონების კლასიფიკაცია, და თუ შესაძლებელია, განახორციელოს ქონების რეკლასიფიკაცია საიმისოდ, რომ ასახოს პირობები, რომლებიც არსებობს ამ თარიღისთვის. რეტროსპექტული გამოყენებას ბას 8-ის შესაბამისად ნებადართული მხოლოდ, თუ ეს შესაძლებელია რეტროსპექტივის გამოყენების გარეშე. ეს ცვლილება ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრისთვის დაწყებულიყო პერიოდისთვის.

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ფასს 16 იჯარები

ფასს 16 გამოშვებულია 2016 წლის იანვარში, და მან შეცვალა: ბას 17 - იჯარები, IFRIC 4 განსაზღვრავს მოიცავს, თუ არა ეს შეთანხმება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარები - სტიმულირების ღონისძიებები და SIC-27 ოპერაციის არსის შეფასება, რომელიც მოიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. ფასს 9-ში განსაზღვრულია აღიარების, შეფასების, პრეზენტაციის და იჯარების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის პრინციპებს და მოითხოვს მოიჯარეებისგან, რომ ბალანსის შემდგომი ერთი მოდელის შესაბამისად ყველა იჯარა ბას 17 -ის შესაბამისად ფინანსური იჯარის აღრიცხვის მსგავსი იყოს. ეს სტანდარტი მოიცავს ორ აღიარებულ გამონაკლის მოიჯარეებთან დაკავშირებით - „დაბალ-ღირებულებიანი აქტივების იჯარები” (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) და მოკლევადიანი იჯარები (ე.ი. იჯარები 12 თვიანი ან ნაკლები ვადით) და იჯარის დაწყების ვალდებულება, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას გადაიხადოს საიჯარო გადასახდელები (ე.ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივი, რომელიც წარმოადგენს უფლებას გამოუყენებელი იყოს განსაზღვრული აქტივი იჯარის ვადაში (ე.ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებული არიან ცალკე აღიარონ საპროცენტო დანახარჯი იჯარის ვალდებულებაზე და ცვეთის დანახარჯი აქტივის გამოყენების უფლებაზე.

მოიჯარეები ასევე ვალდებული არიან გადააფასონ იჯარის ვალდებულება გარკვეული მოვლენების წარმოქმნის შემდეგ (მაგ. ცვლილება იჯარის ვადაში, ცვლილება მომავალ საიჯარო გადახდებში, რომელიც გამოწვეულია ინდექსში და ამ გადახდების განსაზღვრაში გამოყენებულ განაკვეთში ცვლილებით. მოიჯარე ზოგადად აღიარებს იჯარის ვალდებულების გადაფასების თანხას აქტივის გამოყენების უფლების მქონე აქტივის კორექტირების სახით.

ფასს 16-ის შესაბამისად მეიჯარის საბუღალტრო აღრიცხვა არსებითად არ განსხვავდება ბას 17-ის შესაბამისად განხორციელებული დღევანდელი საბუღალტრო აღრიცხვისგან. მეიჯარეები გააგრძელებენ ყველა იჯარის კლასიფიკაციას იმავე კლასიფიკაციის პრინციპის გამოყენებით, რომელსაც იყენებს ბას 17 და განასხვავებენ იჯარის ტიპებს : საოპერაციო და ფინანსური იჯარები.

ფასს 16 იჯარები (გაგრძელება)

ფასს 16 ასევე მოითხოვს მოიჯარეებისგან და მეიჯარეებისგან უფრო ფართოდ წარმოადგინონ ინფორმაცია, ვიდრე ეს ხდებოდა ბას 17 -ის შესაბამისად.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდიდან ან შემდეგ. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენება, მაგრამ სანამ რომელიმე ორგანიზაცია გამოიყენებს ფასს 15-ს. მოიჯარეს შეუძლია აირჩიოს სტანდარტის გამოყენება სრული რეტროსპექტივის ან მოდიფიცირებული რეტროსპექტივის მეთოდის გამოყენებით. სტანდარტის გადაცემის დებულებები უშვებს გარკვეულ შეფასებებს. კომპანიამ დაასრულა ფასს 16-ზე გადასვლის პოტენციური ეფექტის თავდაპირველი შეფასება მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. 2019 წლის 1 იანვრის მონაცემებზე დაყრდნობით, კომპანია ელოდება რომ ახალი სტანდარტის მიღების შედეგად მისი აქტივები და ვალდებულებები გაიზარდება 272,403 ლარით.

ბას 12 - საშემოსავლო გადასახადები

ბას 12-ის ცვლილებები აზუსტებს, რომ დივიდენდების საშემოსავლო გადასახადის შედეგები (თუკი არის), რომლებიც განსაზღვრულია ფასს 9-ში (ე.ი. წილობრივი ინსტრუმენტების მფლობელებზე მოგებების განაწილებას მათ მფლობელობაში არსებული წილების პროპორციულად) უნდა იქნას აღიარებული:

- იმავდროულად, როცა ხდება ამ დივიდენდების გადახდის ვალდებულების აღიარება; და
- მოგება ან ზარალში, სხვა სრულ მოგება-ზარალში, ან კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებაში იმის მიხედვით ორგანიზაციამ აღიარა თუ არა წარსული ოპერაციები ან მოვლენები, რომლებმაც წარმოქმნა გასანაწილებელი მოგებები, საიდანაც ხდება დივიდენდების გადახდა.

ბას 12-ის ცვლილებები ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის, თუმცა ნებადართულია უფრო ადრე გამოყენება. ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ დივიდენდებზე საშემოსავლო გადასახადის შედეგების ცვლილება, რომელიც აღიარებულია წარმოდგენილი ადრინდელი შესადარის პერიოდის დაწყების დღეს ან შემდეგ. ბას 28 დაკავშირებულ და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციები – დაზუსტება, რომ ინვესტიციის ობიექტების შეფასება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის საშუალებით მოხდება თითოეული ინვესტიციის მიხედვით.

ეს ცვლილებები აზუსტებს, რომ

- ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც არის ახალი სარისკო ინვესტიციის მქონე ორგანიზაცია, ან სხვა პირობითი ორგანიზაცია, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება თავდაპირველი აღიარებით თითოეული ინვესტიციის მიხედვით, რათა შეფასდეს მისი ინვესტიციები ასოცირებულ და ერთობლივ საწარმოებში სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის საშუალებით.
- თუ რომელიმე კომპანიას, რომელიც არა არის თვითონ საინვესტიციო კომპანია, აქვს წილი რომელიმე ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოში, რომელიც არის საინვესტიციო კომპანია, ამ კომპანიას შეუძლია წილობრივი მონაწილეობის მეთოდის გამოყენებისას, გადაწყვიტოს სამართლიანი ღირებულებით შეფასების შენარჩუნება, რომელიც გამოიყენება საინვესტიციო ასოცირებული ან ერთობლივი საწარმოს მიერ შვილობილ კომპანიებში საინვესტიციო ასოცირებული ან ერთობლივი საწარმოს მიმართ. ეს გადაწყვეტილება მიიღება ცალკე თითოეული საინვესტიციო ასოცირებული კომპანიისა და ერთობლივი საწარმოსთვის ამ ორი თარიღიდან რომელიც უფრო გვიან დადგება:
 - საინვესტიციო ასოცირებული კომპანია ან ერთობლივი საწარმო თავდაპირველად აღიარებულია;
 - ასოცირებული კომპანია ან ერთობლივი საწარმო გახდება საინვესტიციო კომპანია; და
 - საინვესტიციო ასოცირებული კომპანია ან ერთობლივი საწარმო პირველად ხდება მშობელი კომპანია.

ეს ცვლილებები გამოყენებული უნდა იყოს რეტროსპექტულად და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან.

სს “გალტ ენდ თაგარტი”
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბერი
 (ქართული ლარი)

5. რეკლასიფიკაციის შენიშვნა

კომპანიამ შეცვალა დებიტორული დავალიანების და გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილის კლასიფიკაცია. ცვლილება მოიცავს დებიტორული დავალიანების რეკლასიფიკაციას წინასწარ გადახდილ თანხებზე და გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილის გამოყოფას. მენეჯმენტის აზრით, წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უკეთესად წარმოადგენს კომპანიის საქმიანობას. რეკლასიფიკაციას გავლენა არ მოუხდენია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე.

	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	წინა პერიოდი	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიციური ტანხა
დებიტორული დავალიანება	2,393,377	(513,157)	1,880,220
წინასწარ გადახდილი თანხები	-	513,157	513,157
მოკლევადიანი სესხები	1,299,218	1,059,193	2,358,411
გრძელვადიანი სესხები	1,733,811	(1,059,193)	674,618
სულ	5,426,406	-	5,426,406

6. ძირითადი საშუალებები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები არ იყო დატვირთული იპოთეკით ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2017 წელი	216,128	197,261	146,287	559,676
შეძენა	25,621	2,200	56,732	84,553
ჩამოწერა	(7,290)	-	-	(7,290)
31 დეკემბერი 2018 წელი	234,459	199,461	203,019	636,939
ცვეთა და გაუფასურება				
31 დეკემბერი 2017 წელი	89,832	79,039	82,298	251,169
ცვეთის ხარჯი	28,782	33,769	37,453	100,004
ჩამოწერილი ქონების ცვეთა	(3,547)	-	-	(3,547)
31 დეკემბერი 2018 წელი	115,067	112,808	119,751	347,626
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2017 წელი	126,296	118,222	63,989	308,507
31 დეკემბერი 2018 წელი	119,392	86,653	83,268	289,313

7. საინვესტიციო ქონება

	2018	2017
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,362,000	949,531
სამართლიანი ღირებულების კორექტირებიდან მიღებული მოგება	-	412,469
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,362,000	1,362,000

საინვესტიციო ქონებების მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. №7, თბილისი, საქართველო. საინვესტიციო ქონება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. გადაფასება ხდება იმ შემთხვევაში თუ არსებობს ფაქტორები რომლებიც მიანიშნებს რომ ბოლო შეფასების თარიღის შემდეგ ბაზარზე მოხდა ფასების მნიშვნელოვანი ცვლილება.

ვინაიდან ბოლო ფასების მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა 2017 წელს აღნიშნული საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება გაიზარდა და განისაზღვრა ამ პერიოდისთვის

სს „გალტ ენდ თაგარტი“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბერი
 (ქართული ლარი)

საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

დამოუკიდებელი სერტიფიცირებული შემფასებლის, შპს „ქართული სამემფასებლო კომპანიის“ (სერთიფიკატის N A-0189), მიერ საბაზრო მეთოდით, რომელიც მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების შეფასების მე-3 დონეს.

Colliers Internatinal-ის საოფისე ფართების ფასების ბაზრის კვლევის მიხედვით 2018 წელს არ ყოფილა საოფისე ფართების ფასების მნიშვნელოვანი ცვლილება, შესაბამისად არ განხორციელდა ქონების გადაფასება.

8. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები და პატენტები	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
31 დეკემბერი 2017 წელი	239,377	47,657	287,034
შემენა	12,334	275,483	287,817
გასხვისება	-	-	-
ჩამოწერა	(135)	-	(135)
რეკლასიფიკაცია	14,195	(14,195)	-
31 დეკემბერი 2018 წელი	265,771	308,945	574,716
ამორტიზაცია			
31 დეკემბერი 2017 წელი	114,109	25,287	139,396
ამორტიზაციის ხარჯი	2,439	2,927	5,366
ჩამოწერილი აქტივის ამორტიზაცია	-	-	-
31 დეკემბერი 2018 წელი	116,548	28,214	144,762
წმინდა საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი 2018 წელი	125,268	22,370	147,638
31 დეკემბერი 2018 წელი	149,223	280,731	429,954

კომპანია 2018 წლის განმავლობაში აქტიურად ნერგავდა ახალ სააღრიცხვო სისტემა Microsoft Dynamics AX 2012, რომელმაც სატესტო რეჟიმში მუშაობა დაიწყო 2019 წლის დასაწყისიდან და წლის განმავლობაში იგეგმება მთლიანად ახალ სააღრიცხვო სისტემაზე გადასვლა.

9. ინვესტიციები არაკონსოლიდირებულ შვილობილ კომპანიებში

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ბალანსი გაუფასურებამდე		
გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგ ლიმიტედ	2,623,611	2,623,611
სულ ინვესტიციები არაკონსოლიდირებულ შვილობილ კომპანიებში	2,623,611	2,623,611
გაუფასურება		
გაუფასურების ზარალი შვილობილ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციებზე	(1,601,611)	-
31 დეკემბრის მდგომარეობით	1,022,000	2,623,611

შპს „გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგ ლიმიტედი“ საიდენტიფიკაციო ნომრით 179498 დარეგისტრირდა 2006 წლის 3 ივლისს კვიპროსზე. კომპანიის იურიდიული მისამართია - მაკარიუს III 58, IRIS TOWER, მე-7 სართული, ოფისი 702, P.C. 1075, ნიქოზია, კვიპროსი. შპს „გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგ“-ში ინვესტირება არ წარმოადგენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობას და იგი არ ახდენს ზეგავლენას კომპანიის ძირითად საქმიანობაზე. ამასთან, ეს ინვესტიცია დაკავშირებულია მშობელი კომპანიის სტრატეგიულ ბიზნეს ოპერაციებთან. სს „გალტ ენდ თაგარტი“-ს ფინანსური ანგარიშგება კონსოლიდირდება მშობელი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან. მშობელმა კომპანიამ შპს „გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგში“ განახორციელა ინვესტიცია სს „გალტ ენდ თაგარტის“ მეშვეობით. ასეთი ინვესტიცია შპს „გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგში“ ბოლოს 2015 წლის აპრილში განხორციელდა და 22.3 მლნ. ლარი შეადგინა.

სს “გალტ ენდ თაგარტი”
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბერი
 (ქართული ლარი)

ინვესტიციები არაკონსოლიდირებულ შვილობილ კომპანიებში (გაგრძელება)

კომპანიის მენეჯმენტის მიერ, 2018 წლის ბოლოს, შვილობილ კომპანიაში ინვესტიციაზე ჩატარებული გაუფასურების ტესტის მიხედვით გამოვლინდა ინვესტიციის გაუფასურების ინდიკატორი. ქვემოთ მოცემულია არაკონსოლიდირებული შვილობილი კომპანიის არა-აუდირებული ფინანსური ინფორმაცია:

31 დეკემბერი 2018	
სულ აქტივები	1,022,461
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	1,022,461
2018 წლის მოგება/ზარალი	
პერიოდის მოგება/(ზარალი)	(2,204,526)

10. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
საქართველოს საფონდო ბირჟა (15.33% წილი კაპიტალში)	110,250	110,250
თბილისის საფონდო ბირჟა (21.59% წილი კაპიტალში)	818,342	818,342
სულ ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	928,592	928,592

კომპანიის მიერ, 2018 წლის ბოლოს, მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციებზე ჩატარებული გაუფასურების ტესტის მიხედვით არ გამოვლინდა ინვესტიციების გაუფასურების ინდიკატორები. კომპანია მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციებს არ აღრიცხავს კაპიტალის მეთოდით, რადგან ისინი აღირიცხება მშობელი კომპანიის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. ქვემოთ მოცემულია მეკავშირე საწარმოების 2018 წლის აუდირებული ფინანსური ინფორმაცია:

სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“:

31 დეკემბერი 2018	
სულ აქტივები	678,726
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	678,726
2018 წლის მოგება/ზარალი	
პერიოდის მოგება/(ზარალი)	(168,664)

სს „თბილისის საფონდო ბირჟა“:

31 დეკემბერი 2018	
სულ აქტივები	2,124,727
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	2,124,727
2018 წლის მოგება/ზარალი	
პერიოდის მოგება/(ზარალი)	(302,481)

11. ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
1 იანვარი	-	-
შენაძენი	535,320	-
სულ ვადის გასვლამდე ფლობადი ფასიანი ქაღალდები	535,320	-

კომპანია ფლობს 4 ცალ პრივილეგირებულ აქციას, რომელზეც იღებს შემოსავალს დივიდენდის სახით.

სს “გალტ ენდ თაგარტი”
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბერი
 (ქართული ლარი)

12. ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
<i>მიმდინარე აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში</i>	112,479	378,818
საპროცენტო სარგებლის მქონე სავალო ინსტრუმენტები	4,364,319	5,456,395
<i>სულ მიმდინარე აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში</i>	4,476,798	5,835,213
<i>გრძელვადიანი აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში</i>		
ფასიანი ქაღალდები	-	126,475
სულ ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში	4,476,798	5,961,688

საპროცენტო სარგებლის მქონე სავალო ინსტრუმენტების ბალანსში გათვალისწინებულია ამ ინსტრუმენტებზე დარიცხული მისაღები კუპონი

13. გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მოკლევადიანი სესხი	8,378,677	225,000
გრძელვადიანი სესხი	-	6,655,552
სულ გაცემული სესხები	8,378,677	6,880,552

2017 წლის 28 დეკემბერს კომპანიამ გასცა 225,000 ლარის ღირებულების მოკლევადიანი სესხი ფიზიკურ პირზე. ხელშეკრულების თანახმად სესხის დაფარვის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 5 იანვრით ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთი 20%-ით (წლიურ სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთსა და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს შორის არ არის არსებითი განსხვავება).

2014 წელს კომპანიამ 1,300,000 დოლარის ოდენობის სასესხო ხელშეკრულება (სუბორდინირებული სესხი) გააფორმა ქართულ სავაჭრო მაღაზიათა ქსელთან („მსესხებელი“). სესხი გაიცა ხუთი წლის ვადით და ერიცხება წლიური 20% (წლიურ სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთსა და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს შორის არ არის არსებითი განსხვავება), რომელიც კაპიტალიზირდება ყოველთვიურად. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად გაცემული კრედიტი სუბორდინირებულია და ექვემდებარება მსესხებლის სხვა კრედიტორების მოთხოვნებს, რომელთაც ექნებათ გადახდისა და დაფარვის უფრო მაღალი პრიორიტეტი.

სესხის პირობების გათვალისწინებით, ფასს 9 სტანდარტის მიღების შემდგომ, აღნიშნული სესხის საბალანსო ღირებულება აისახება სამართლიანი ღირებულებით მოგებასა და ზარალში. შესადარისი პერიოდისთვის ამ სესხის საბალანსო ღირებულება აღირიცხებოდა ამორტიზირებული ღირებულებით. ახალ სტანდარტზე გადასვლის მომენტში სხვაობა ამორტიზირებულ ღირებულებასა და სესხის სამართლიან ღირებულებას შორის გატარდა გაუნაწილებელ მოგებაზე. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის სამართლიანი ღირებულება შეადგენდა 8,472,468 ლარს (2017: 6,655,552 ლარი) რის შედეგადაც გადაფასების ეფექტი 460,348 ლარის ზარალი აისახა მოგება ზარალში. აღნიშნული ზარალი გამოწვეულია ახალ სტანდარტზე გადასვლის შედეგად აღრიცხვის კატეგორიის ცვლილებით და არ არის დაკავშირებული მსესხებლის გადახდისუნარიანობასთან. აღნიშნული სესხი სრულად დაიფარა 2019 წლის 11 თებერვალს.

სს „გალტ ენდ თაგარტი“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბერი
 (ქართული ლარი)

გაცემული სესხები (გაგრძელება)

სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მსესხებლის შემდეგი ვალდებულებები და უზრუნველყოფები:

- სს „გალტ ენდ თაგარტი“ მიერ წარმოდგენილი კანდიდატის შეყვანა მმართველობითი ორგანოს შემადგენლობაში დამსწრის სტატუსით;
- მსესხებლის 100%-იანი წილის პირველადი გირავნობა და დამფუძნებლის თავდებობა;
- მსესხებლის ყველა მიმდინარე და მომავალი აქტივების დატვირთვა გირავნობითა და იპოთეკით. ამგვარი გირავნობა და იპოთეკა იქნება ყოველთვის მეორადი თუ კლიენტს აქვს უფრო მაღალი პრიორიტეტის სესხი არაუმეტეს 650,000 აშშ დოლარის ფარგლებში;
- გონივრულ ვადაში ფინანსური ინფორმაციის, მომდევნო წლის ბიუჯეტის, ბიზნეს გეგმის, შუალედური ფინანსური ანგარიშის მიმოხილვისა და ყოველწლიური აუდიტებული ანგარიშის მოწოდება.

14. წინასწარ გადახდილი თანხები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017 რეკლასიფიცირებული
წინასწარ გადახდილი ხელფასი	11,559	6,683
წინასწარ გადახდილი ბონუსის ხარჯი	642,793	501,731
წინასწარ გადახდილი გადასახადები	2,136	1,583
სხვა წინასწარგადახდები	83,640	3,160
სულ წინასწარ გადახდილი თანხები	740,128	513,157

სხვა წინასწარ გადახდილი ბონუსის ხარჯი შეადგენს BOGG (continuation of BGEO)-ს აქციები რომლებიც გადაცემულია თანამშრომლებისთვის, პირობის თანახმად თანამშრომლის სამსახურიდან წასვლის შემთხვევაში აქციები ბრუნდება კომპანიის საკუთრებაში. ბონუსის გაცემის მომენტში კომპანია აღიარებს ვალდებულებას თანამშრომლის მიმართ და აღრიცხავს როგორც წინასწარ გადახდილ ბონუსს, წინასწარ გადახდილი ბონუსის ხარჯად აღიარება ხდება განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

15. დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017 რეკლასიფიცირებული
მოთხოვნები კლიენტების წინაშე	152,339	250,912
მოთხოვნები გარიგებებიდან და მომსახურებიდან	340,759	1,575,179
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	81,298	54,129
სულ დებიტორული დავალიანება	574,396	1,880,220

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

16. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ქართული ლარი (GEL)	105,037	3,010,403
აშშ დოლარი (USD)	362,188	942,119
ევრო (EUR)	12,170	15,341
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი (GBP)	48,204	18,985
შვეიცარული ფრანკი (CHF)	1,320	5,743
სხვა ვალუტა	1,068	1,025
სულ	529,987	3,993,616

სს “გალტ ენდ თაგარტი”
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბერი
 (ქართული ლარი)

17. კლიენტების ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ქართული ლარი (GEL)	5,823,143	2,658,513
აშშ დოლარი (USD)	3,655,275	12,228,970
ევრო (EUR)	2,520,454	4,380,756
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი (GBP)	2,686,448	5,037,076
შვეიცარული ფრანკი (CHF)	196,328	489,042
სხვა ვალუტა	3,232	152,505
სულ	14,884,880	24,946,862

კლიენტების ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს კლიენტების თანხებს 14,884,880 (2017: 24,946,862), რომლებიც განთავსებულია ნომინალურ ანგარიშზე და გამოიყენება მათივე დავალებით ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისათვის. ეს თანხები აღიარებულია ვალდებულებად და ასახულია კლიენტების მიმართ კრედიტორულ დავალიანებაში.

18. სააქციო კაპიტალი

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
გამოსაშვებად ნებადართული კაპიტალი:		
20,000,000 ნებადართული ჩვეულებრივი აქცია, თითოეულის ნომინალური ღირებულება ერთი (1) ლარი	-	-
გამოშვებული და სრულად გადახდილი:		
10,764,236 ჩვეულებრივი აქცია, თითოეულის ნომინალური ღირებულება ერთი (1) ლარი	10,764,236	10,764,236

კომპანიის აქციების ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს. შესაბამისად კომპანიის გაცხადებული სააქციო კაპიტალის რაოდენობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 10,764,236 ცალ აქციას (2017: 10,764,236 ცალი) ხოლო შეუვსებელი სააქციო კაპიტალის აქციათა რაოდენობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 9,235,764 ცალს (2017: 9,235,764).

19. გადავადებული შემოსავალი

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
საკონტრაქტო ღირებულება	2,110,524	3,095,800
პერიოდის განმავლობაში გამომუშავებული შემოსავალი	(1,827,559)	(985,276)
სულ გადავადებული შემოსავალი	282,965	2,110,524

2017 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო 3,095,800 ლარის შემოსავალი ფინანსური შუამავლობისთვის რომელსაც კომპანია აღიარებს 2 წლის პერიოდზე, აღებული ვალდებულებების შესრულების პროპორციულად.

სს “გალტ ენდ თაგარტი”
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბერი
 (ქართული ლარი)

20. მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
გრძელვადიანი სესხები	-	663,797
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	663,797	1,045,752
მოკლევადიანი სესხები	-	1,242,725
საპროცენტო ვალდებულება	10,821	80,755
სულ მიღებული სესხები	674,618	3,033,029

გრძელვადიანი საბანკო სესხი მიღებულია აშშ დოლარში, წლიური 7%-იანი საპროცენტო განაკვეთით (ეფექტური: 7.11%) 2019 წლის 7 ოქტომბრამდე. კომპანია სესხის პროცენტს კვარტლურად იხდის, ხოლო ძირის დაფარვა მოხდება ხელშეკრულების ვადის ბოლოს.

2017 წელს გრძელვადიანი სესხები იყო უზრუნველყოფილი სს “m2 უძრავი ქონების” და სახაზინო (სახელმწიფო) ობლიგაციებით. 2018 წელს მოიხსნა სესხის უზრუნველყოფა.

21. კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
კრედიტორული დავალიანება მეკავშირე საწარმოების მიმართ	314,761	2,417,411
გადასახდელი ფულადი ბონუსები	984,000	842,863
სხვა დავალიანება	22,847	21,265
სულ კრედიტორული დავალიანება	1,321,608	3,281,539

კრედიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის. გარიგებებისა და მომსახურებისთვის გადასახდელი თანხები მოიცავს ვაჭრობის შედეგად კლიენტის მიერ გამომუშავებულ თანხებს რომლის გადახდაც მოხდება მომდევნო პერიოდში.

22. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

	2018	2017
საბროკერო საქმიანობიდან	1,291,818	961,861
აქციების შენახვის საკომისიო	370,598	327,927
შემოსავლები სავაჭრო პლატფორმიდან	1,065,231	519,953
სხვა საკომისიო შემოსავალი	6,413	2,921
სულ საკომისიო შემოსავალი	2,734,060	1,812,662
საკომისიო ხარჯი	(2,826,990)	(2,582,518)
წმინდა საკომისიო ზარალი	(92,930)	(769,856)

კომპანია იყენებს საერთაშორისო სავაჭრო პლატფორმას ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობისთვის, აღნიშნული სერვისის საკომისიომ 2018 წელს შეადგინა 1,927,981 (2017: 2,087,112). კასტოდიანის მომსახურების საკომისიომ 2018 წელს შეადგინა 316,322 (2017:221,774), ხოლო არარეზიდენტი საბროკეროს მომსახურების საკომისიომ 2018 წელს შეადგინა 414,214 (2017: 208,866).

სს “გალტ ენდ თაგარტი”
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბერი
 (ქართული ლარი)

23. შემოსავალი საინვესტიციო საბანკო მომსახურებიდან და კვლევებიდან

	2018	2017
შემოსავალი ბონდების განთავსებიდან	982,822	2,099,890
ფინანსური შემოსავალი	2,548,730	1,458,219
სულ საინვესტიციო საბანკო შემოსავალი	3,531,552	3,558,109
შემოსავალი კვლევებიდან	90,166	50,080
სხვა შემოსავალი	56,782	91,447
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	3,678,500	3,699,636

ფინანსური შემოსავალი გარდა განთავსების საკომისიოს მოიცავს რეფინანსირების მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალს, რაც 2018 წელს შეადგენს 1,827,559 (2017: 985,276).

24. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	2018	2017
ხელფასები (გარდა წლიური ბონუსებისა)	1,546,890	1,481,719
წლიური ბონუსი	1,730,394	1,662,577
იჯარა და კომუნალური გადასახადები	182,566	182,770
გაყიდვები და მარკეტინგი	67,597	68,876
ცვეთა და ამორტიზაცია	105,370	151,228
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურება	106,314	79,931
საექვო მოთხოვნები	-	19,266
მივლინება	33,662	32,473
წარმომადგენლობის ხარჯები	33,297	21,002
გადასახადები, გარდა სამშენობლო გადასახადისა	19,848	16,309
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	129,635	125,598
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	3,955,573	3,841,749

2018 წლის აუდიტორული მომსახურების ხარჯი შეადგენს 13,918 (2017: 22,000)

25. წმინდა მოგება ფინანსური აქტივებიდან სამართლიანი ღირებულებით მოგებასა ან ზარალში

	2018	2017
ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში		
ვაჭრობიდან მიღებული წმინდა მოგება	(71,354)	71,923
ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში გადაფასებიდან მიღებული მოგება	115,827	87,349
წმინდა მოგება ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობიდან	44,473	159,272

26. საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები

	2018	2017
კომერციული სესხები	1,434,085	1,164,340
პროცენტიანი ფასიანი ქაღალდები	681,530	516,438
საბანკო დეპოზიტები	387,173	209,294
სულ საპროცენტო შემოსავალი	2,502,788	1,890,071
სულ საპროცენტო ხარჯი	(57,362)	(274,249)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	2,445,426	1,615,822

კომპანიის საპროცენტო ხარჯებმა კომერციული ბანკებიდან მიღებულ სესხებზე 2018 წელს შეადგინა 55,369 ლარი (2017: 245,790).

სს „გალტ ენდ თაგარტი“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბერი
 (ქართული ლარი)

27. წმინდა სარგებელი კურსთაშორის სხვაობიდან

	2018	2017
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	8,330,420	11,605,380
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	7,974,156	11,826,800
სულ მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	356,265	(221,420)

28. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

სს „ბიჯი ფაინენშალი“, სს „ბიჯეო ჯგუფის“ წევრი, ფლობს კომპანიის ხმის უფლების მქონე ჩვეულებრივი აქციების 100%-ს. სს „საქართველოს ბანკი“ წარმოადგენს სს „ბიჯეო ჯგუფის“ მნიშვნელოვან მაკონტრორებელ ნაწილს. სს „ბიჯეო ჯგუფი“ აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდირებას, რომელიც საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომია.

ტრანზაქციები სს „საქართველოს ბანკთან“:

ტრანზაქციების მოცულობა	2018	2017
საკომისიო შემოსავალი	8,967	5,237
საკომისიო ხარჯი	326,503	197,075
ვაჭრობისა და მომსახურებისგან მიღებული სარგებელი	-	-
ვაჭრობისა და მომსახურებისას გაწეული ხარჯი	-	63,656
საიჯარო შემოსავალი	-	44,496
საიჯარო და სხვა საოპერაციო ხარჯი	203,716	158,892
საპროცენტო შემოსავალი	2,042	128,379

ტრანზაქციები კომპანიებთან, რომლებსაც აკონტროლებს სს „საქართველოს ბანკი“:

ტრანზაქციების მოცულობა	2018	2017
საკომისიო შემოსავალი	82,365	92,055
საკომისიო ხარჯები	1,400	1,398
ვაჭრობა და მომსახურებიდან შემოსავალი	-	1,362,370
ვაჭრობა და მომსახურებიდან ხარჯი	-	-
საიჯარო შემოსავალი	-	5,962
საპროცენტო ხარჯი	1,627	54,148
დაზღვევის ხარჯი	17,123	24,017
სხვა საოპერაციო შემოსავალი	398,722	-
სხვა საოპერაციო ხარჯი	370,605	-

ნაშთი სს „საქართველოს ბანკთან“:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული და ფულის ექვივალენტები	10,098,204	24,679,100
სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები	-	-
მოკლევადიანი სესხები	-	333,661
დებიტორული დავალიანება	3,329	-
კრედიტორული დავალიანება	120,135	47,741

ნაშთი სს „საქართველოს ბანკის“ მიერ კონტროლირებად ორგანიზაციებთან:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები	2,186,575	2,706,177
მოკლევადიანი სესხები	-	9,688
დებიტორული დავალიანება	-	505,332
კრედიტორული დავალიანება	837	350,832

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება:

მენეჯმენტის ხელფასები:	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ხელფასები, ბონუსები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი:	739,079	565,548

29. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო საიჯარო ვალდებულებები - კომპანია, როგორც მოიჯარე

2016 წლის იანვარში კომპანიამ გააფორმა ერთწლიანი საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება სს „საქართველოს ბანკთან“, სადაც კომპანია წარმოდგენილია როგორც მოიჯარე. აღნიშნული ხელშეკრულებით, კომპანიამ იჯარით აიღო საოფისე ფართი, სადაც იგი ამჟამად ახორციელებს თავის ძირითად საოპერაციო საქმიანობას. აღნიშნული ხელშეკრულება არ ექვემდებარება გაუქმებას და განახლებადია მომავალ პერიოდებშიც. ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 5,258 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახადი, რომელიც უნდა დაიფაროს იჯარის საკონტრაქტო ვადამდე (2020 წლის 31 აგვისტო), შეადგენს 281,070 ლარს. საოპერაციო იჯარის გადასახადი 2018 წელს ჩათვლილია ხარჯებში და შეადგენს 160,309 ლარს (2017: 158,892).

30. ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის სამ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი
 - სავალუტო რისკი
 - ფასიანი ქაღალდების რისკი

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

სს “გალტ ენდ თაგარტი”
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბერი
 (ქართული ლარი)

ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული და ფულის ექვივალენტები	529,987	3,993,616
კლიენტების ფული და ფულის ექვივალენტები	14,884,880	24,946,862
დებიტორული დავალიანება	574,396	1,880,220
გაცემული სესხები	8,472,468	225,000
ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში	535,320	-
ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში	4,476,798	5,961,688
სულ ფინანსური აქტივები	29,473,849	37,007,386
ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
კრედიტორული დავალიანება	1,321,608	3,281,539
ფულადი ვალდებულებები კლიენტების მიმართ	14,884,872	24,946,862
მოკლევადიანი სესხები	674,618	2,358,411
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	3,171	-
სულ ფინანსური აქტივები	16,884,269	30,586,812
აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობა	12,589,580	6,420,574

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს სამართლიანი ღირებულებით აღიარებული აქტივების ანალიზს, რომლებიც დაჯგუფებულია 1-3 დონეებად. აღნიშნული დონეები შემუშავებულია იმისთვის, რომ განისაზღვროს, რამდენად შეინიშნება სამართლიანი ღირებულება:

	სამართლიანი ღირებულებები საანგარიშო პერიოდის ბოლოს		
	დონე 1	დონე 2	დონე 3
აქტივები გამოსახული სამართლიანი ღირებულებით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
ფული და ფულის ექვივალენტები	529,987	-	-
კლიენტების ფული და ფულის ექვივალენტები	14,884,880	-	-
ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში	4,476,798	-	-
გაცემული სესხები	-	-	8,472,468
დებიტორული დავალიანება	-	-	709,655
ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში	535,320	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	1,362,000
სულ	20,426,985	-	10,544,123
აქტივები გამოსახული სამართლიანი ღირებულებით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
ფული და ფულის ექვივალენტები	3,840,712	-	-
ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში	5,961,689	-	-
გაცემული სესხები	-	-	6,880,552
დებიტორული დავალიანება	-	-	1,880,220
საინვესტიციო ქონება	-	-	1,362,000
სულ	9,802,401	-	10,122,772

კომპანიას არ აქვს ფინანსური ვალდებულება, რომელიც კლასიფიცირდება კატეგორიაში „სამართლიანი ღირებულებით მოგებისა ან ზარალის ასახვით“. წარმოდგენილი ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს კლიენტის ფულად სახსრებს იხ შენიშვნა 17.

სს “გალტ ენდ თაგარტი”
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბერი
 (ქართული ლარი)

საკრედიტო რისკი

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული და ფულის ექვივალენტები	529,987	28,940,478
კლიენტების ფული და ფულის ექვივალენტები	14,884,880	62,340,930
გაცემული სესხები	8,472,468	6,880,552
დებიტორული დავალიანება	574,396	1,880,220
	24,461,731	100,042,180

როგორც შენიშვნა 16 განმარტავს, ფულისა და ფულის ექვივალენტების ბალანსი წარმოადგენს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთსა და მოკლევადიან დეპოზიტებს სამ თვემდე ვადიანობით. კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები ნებისმიერი დებიტორული დავალიანებისთვის. ყველა დებიტორული დავალიანება და წინასწარი გადახდა, რომელიც ვადაგადაცილებულია ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის შესაბამისად არის გაუფასურდებული. ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში და ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში მოცემულია წილობრივი ინსტრუმენტის სახით და ამგვარად, არ ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით. ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

2018

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	529,987	-	-	529,987
კლიენტების ფული და ფულის ექვივალენტები	14,884,880	-	-	14,884,880
ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში	4,476,798	-	-	4,476,798
გაცემული სესხები	8,472,468	-	-	8,472,468
დებიტორული დავალიანება	574,396	-	-	574,396
ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში	-	535,320	-	535,320
სულ ფინანსური აქტივები	28,938,529	535,320	-	29,473,849

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
მიღებული სესხები	674,618	-	-	674,618
ფულადი ვალდებულებები კლიენტების მიმართ	14,884,872	-	-	14,884,872
კრედიტორული დავალიანება	1,321,608	-	-	1,321,608
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	3,171	-	-	3,171
სულ ფინანსური ვალდებულებები	16,884,269	-	-	16,884,269
ლიკვიდურობის გარღვევა	12,054,260	535,320	-	12,589,580

სს “გალტ ენდ თაგარტი”
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბერი
 (ქართული ლარი)

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი (გაგრძელება)

2017

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	3,993,616	-	-	3,993,616
კლიენტების ფული და ფულის ექვივალენტები	24,946,862	-	-	24,946,862
ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში	5,835,213	126,475	-	5,961,688
გაცემული სესხები	-	6,880,552	-	6,880,552
დებიტორული დავალიანება	2,373,731	19,646	-	2,393,377
ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში	-	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	37,149,422	7,026,673	-	44,176,095

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
მიღებული სესხები	2,358,411	674,618	-	3,033,029
ფულადი ვალდებულებები კლიენტების მიმართ	24,946,862	-	-	24,946,862
კრედიტორული დავალიანება	3,281,539	-	-	3,281,539
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	30,586,812	674,618	-	31,261,430
ლიკვიდურობის გარღვევა	6,562,610	6,352,055	-	12,914,665

საპროცენტო რისკი

კომპანიას საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების სამართლიან ღირებულებაზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენა შეფასდა როგორც უმნიშვნელო.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდებლები) იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განხორციელებასა და ფასიანი ქაღალდების ფლობას.

სს “გალტ ენდ თაგარტი”
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბერი
 (ქართული ლარი)

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით

ფინანსური აქტივები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

2018

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	შვეიცარიული ფრანკი	სხვა	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები და კლიენტის ფული და ფულის ექვივალენტები	5,928,180	4,017,463	2,532,624	2,734,652	197,647	4,301	15,414,867
დებიტორული დავალიანება	239,509	338,241	65,809	63,275	-	2,821	709,655
გაცემული სესხები	-	8,472,468	-	-	-	-	8,472,468
ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში	-	535,320	-	-	-	-	535,320
ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში	2,222,129	2,196,188	36,550	21,931	-	-	4,476,798
სულ ფინანსური აქტივები	8,389,818	15,559,680	2,634,983	2,819,858	197,647	7,122	29,609,108

2017

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	შვეიცარიული ფრანკი	სხვა	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები და კლიენტის ფული და ფულის ექვივალენტები	5,656,550	13,170,959	4,396,085	5,056,060	494,785	166,039	28,940,478
დებიტორული დავალიანება	1,117,703	430,867	645,690	199,117	-	-	2,393,377
გაცემული სესხები	225,000	6,655,552	-	-	-	-	6,880,552
ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში	-	-	-	-	-	-	-
ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში	2,270,646	3,338,555	341,339	11,148	-	-	5,961,688
სულ ფინანსური აქტივები	9,269,899	23,595,933	5,383,114	5,266,325	494,785	166,039	44,176,095

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური ვალდებულებები ვალუტების მიხედვით:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ლარი	6,936,884	5,377,732
აშშ დოლარი	4,410,935	14,202,034
ევრო	2,607,618	5,751,897
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	2,728,153	5,221,934
სხვა	200,679	707,833
სულ	16,884,269	31,261,430

წარმოდგენილი ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს კლიენტის ფულად სახსრებს, ხოლო კრედიტორული დავალიანებები მოიცავს კლიენტის მიმართ დავალიანებას.

ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შეამცირებს/გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 812,181 ლარით (2017: 264,426 ლარით).

ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება/გაუფასურება ევროს მიმართ შეამცირებს/გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 2018 წლისათვის 200,200 ლარით (2017: 316,675 ლარით).

ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება/გაუფასურება დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგის მიმართ შეამცირებს/გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 44,664 ლარით (2017: 357,081 ლარით).

31. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ, 2019 წლის 11 თებერვალს, კომპანიამ მიიღო გაცემული სესხი 8,472,468 ლარის ოდენობით.